



618/4-2/22 2 24012022

618/4-2/22
24-01-2022

საქართველოს იუსტიციის მინისტრს,
ბატონ რატი ბრეგაძეს

ბატონო რატი,

როგორც თქვენთვის ცნობილია, 2021 წლის 15 ივნისს მოგმართეთ N6078/4-2/21 სადეპუტატო კითხვით, რომლითაც გამოვითხოვეთ ინფორმაცია პანდემიის პერიოდში პატიმრობაში მყოფი პირებისთვის პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული უფლებების შეზღუდვის თაობაზე. აღნიშნული ინფორმაცია თქვენს მიერ სრულად იქნა ჩვენთვის მოწოდებული 2021 წლის 28 ივნისს.

აღსანიშნავია, რომ 2021 წლის 22 დეკემბერს საქართველოს პარლამენტს საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარედგინა საქართველოს კანონის პროექტი „ამნისტიის შესახებ“, რომელზეც საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2021 წლის 27 დეკემბრის N110/6 გადაწყვეტილებით წამყვან კომიტეტად განისაზღვრა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი.

დასახელებული საკანონმდებლო ინიციატივის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ, განახლებული სახით მოგვაწოდოთ 2021 წლის 15 ივნისის N6078/4-2/21 სადეპუტატო კითხვით გათვალისწინებული შემდეგი სახის ინფორმაცია:

1. ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების შედეგად გამოწვეული პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში, რა პერიოდის განმავლობაში ჰქონდათ შეზღუდული პატიმრობაში მყოფ პირებს პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული საოჯახო, ხანგრძლივი და ხანმოკლე პაემნით სარგებლობის უფლება და კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა აღნიშნული შეზღუდვა (გაზრდილი იყო უფლებით სარგებლობის ინტერვალები, თუ საერთოდ ვერ სარგებლობდნენ ამ უფლებით)?

2. ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების შედეგად გამოწვეული პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში, რა პერიოდის განმავლობაში ჰქონდათ შეზღუდული პატიმრობაში მყოფ პირებს პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლება და კონკრეტულად რაში

გამოიხატებოდა აღნიშნული შეზღუდვა (გაზრდილი იყო უფლებით სარგებლობის ინტერვალები, თუ საერთოდ ვერ სარგებლობდნენ ამ უფლებით)?

3. ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების შედეგად გამოწვეული პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში, მოქმედებდა თუ არა პატიმრობაში მყოფი პირების მიმართ სხვა სახის შეზღუდვები? დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ამ შეზღუდვების არსისა და მოქმედების პერიოდის შესახებ.

4. ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების შედეგად გამოწვეული პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში, რა სახის შეზღუდვები რჩება ძალაში პატიმრობაში მყოფი პირების მიმართ და რა პირობების დადგომის შემთხვევაში იქნება შესაძლებელი მათი მოხსნა?

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
მიხეილ სარჯველაძე

მ. სარჯველაძე



საქართველოს იუსტიციის მინისტრი

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge



KA010122996079822

№1923

15 / თებერვალი / 2022 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს,
ბატონ მიხეილ სარჯველაძეს

ბატონო მიხეილ,

საქართველოს იუსტიციის სამინისტროში წარმოდგენილი თქვენი №618/4-2/22 მომართვის (საქართველოს იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციის № 01/1914; თარიღი: 25.01.2022) პასუხად, რომლის თანახმადაც მოთხოვნილია განახლებული ინფორმაცია ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების შედეგად გამოწვეული პანდემიის წინააღმდეგ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ, დანართის სახით გეგზავნებათ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ მონოღებული ინფორმაცია.

დანართი: 2 (ორი) ფურცელი

პატივისცემით,

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია
ელექტრონულად



რატი ბრეგაძე



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო სპეციალური პენიტენციური სამსახური

THE MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA SPECIAL PENITENTIARY SERVICE



KA010136217671322

0186, ქ. თბილისი ზურაბ ანჯაფარიძის ქ. N27, საქართველო
N27, Zurab Anjaparidze str, Tbilisi, 0186, Georgia, www.sps.gov.ge
ტელ./Tel.:(995 32) 2312734

№37354/01

09 / თებერვალი / 2022 წ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს
ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსს,
ქალბატონ მანანა ბეგიაშვილს

ქალბატონო მანანა,

თქვენი 2022 წლის 26 იანვრის № 1027 წერილის (სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში წერილის რეგისტრაციის № 01/23646) პასუხად, რომლითაც სპეციალური პენიტენციურ სამსახურში (შემდგომ - სამსახური) გამოგზავნილია საქართველოს პარლამენტის წევრის, მიხეილ სარჯველაძის 2022 წლის 24 იანვრის № 618/4-2/22 მომართვა, გაცნობებთ შემდეგ ინფორმაციას:

როგორც მოგეხსენებათ, პენიტენციურ დაწესებულებებში ახალი კორონავირუსის (2019-nCoV) გავრცელების პრევენციისა და მართვისათვის საჭირო ღონისძიებების გატარების უზრუნველყოფის მიზნით 2020 წლის 5 მარტიდან სამსახურის გენერალური დირექტორის ბრძანებით პენიტენციურ დაწესებულებებში შემოღებულ იქნა განსაკუთრებული პირობები.

2021 წლის ივნისის მდგომარეობით განსაკუთრებული პირობების მოქმედების პერიოდში პატიმრობაში მყოფი პირების მიმართ პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული უფლებების შეზღუდვების თაობაზე, საქართველოს პარლამენტის წევრს, მიხეილ სარჯველაძის ეცნობა 2021 წლის 8 ივნისის № 8524 წერილით. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოგიდგინებ განახლებულ ინფორმაციას, პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული შეზღუდვების შესახებ:

2021 წლის 01 ოქტომბრიდან განსაკუთრებული პირობების მოქმედების პერიოდში იმ მსჯავრდებულებს, რომლებიც ვაქცინირებულნი არიან ორჯერადად, მიეცათ კუთვნილი ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლება, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომისა და ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესაბამისად, კერძოდ:


- ხანგრძლივ პაემანზე მსჯავრდებულებთან დაიშვებიან ის პირები, რომლებიც არიან სრულად ვაქცინირებული და წარმოადგენენ ვაქცინაციის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს;
- ხანგრძლივ პაემანზე მისულმა სტუმრებმა, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვაქცინაციას ვერ იტარებენ, უნდა წარმოადგინონ ექიმის მიერ გაცემული სამედიცინო ცნობა, რომელშიც მითითებული იქნება, რომ ვაქცინაცია მათთვის უკუჩვენებას წარმოადგენს. ასევე, მათ უნდა წარმოადგინონ ბოლო 72 საათის განმავლობაში ჩატარებული PCR ტესტის შედეგები;
- ხანგრძლივ პაემანზე მისულმა სტუმრებმა, რომლებსაც გადატანილი აქვთ ახალი კორონა-ვირუსი და არიან ერთჯერადად ვაქცინირებულები, უნდა წარმოადგინონ ვაქცინაციის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტი და ბოლო 72 საათის განმავლობაში ჩატარებული PCR ტესტის შედეგები;

· ხანგრძლივ პაემანზე მისულმა 16 წლამდე ასაკის სტუმრებმა უნდა წარმოადგინონ ბოლო 72 საათის განმავლობაში ჩატარებული PCR ტესტის შედეგები.

აქვე გაცნობებთ, რომ სამსახურის პენიტენციურ დაწესებულებებში შემოღებული განსაკუთრებული პირობები გაგრძელდა 2022 წლის 31 მარტის ჩათვლით. დღეის მდგომარეობით, ქალ მსჯავრდებულებს შეჩერებული აქვთ მხოლოდ საოჯახო პაემნით სარგებლობის უფლება. სამსახური მიმართავს მთელ ძალისხმევას, რათა სისტემაში არ გავრცელდეს ვირუსი და დაცული იქნეს ბრალდებულთა/ მსჯავრდებულთა სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

პატივისცემით,

სამართლებრივი უზრუნველყოფის
სამმართველოს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია
ელექტრონულად 

ნიკა აბრამიშვილი